საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №149

2005 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ საგანამანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად, ლისაბონის 1999 წლის კონვენციისა და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომის დანართი თანდართული ფორმის შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დიპლომის დანართის ფორმების გაცემა მოხდეს უფასოდ.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალ. ლომაია